

მეტამონაცემების რეგულაცია
ISO 19110; ISO 19115; ISO 19119

სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სივრცითი მონაცემების სერვისების
დოკუმენტირებისათვის აუცილებელი მეტამონაცემების შექმნის, განახლების და შენახვის
წესი

ვერსია 1.1

Commented [g1]: ნორმალიზების

შინაარსი

მიმოხილვა	3
მეტამონაცემების სტრუქტურა	5
თავი 1 - განმარტებები.....	5
1. ტერმინთა განმარტება.....	5
2. სივრცითი მონაცემების ნაკრებების ვალიდურობა (საიმედოობა) - References to the validity	6
თავი 2 - მეტამონაცემების ელემენტები	6
1. იდენტიფიკაცია - Identification	6
2. სივრცითი მონაცემების და სერვისების კლასიფიკაცია - Classification of spatial data and services	8
3. საკვანძო (საძიებო) სიტყვა - Keyword	8
4. გეოგრაფიული მდებარეობა - Geographic Location	9
5. დროითი განზომილება (სისტემა) - Temporal Reference	9
6. ხარისხი და ვალიდურობა (საიმედოობა) - Quality and Validity	10
7. შესაბამისობა - Conformity.....	10
8. წვდომისა და გამოყენების პირობები და შეზღუდვები - Constraint Related to Access and Use	11
9. პასუხისმგებელი მხარე - Organisations Responsible for the Establishment, Management, Maintenance and Distribution of OF Spatial Data Sets and Services	Error! Bookmark not defined.
10. მეტამონაცემები მეტამონაცემების შესახებ	12
თავი 3 - მეტამონაცემების თითოეული ელემენტის რაოდენობასთან და პირობებთან დაკავშირებული ინსტრუქციები	12
თავი 4 - დომენის მნიშვნელობა	16
1. რესურსის ტიპი - Resource Type.....	16
2. ძირითადი კატეგორიები EN ISO 19115-ის შესაბამისად - Topic Categories in Accordance with EN ISO 19115	16
3. სივრცითი მონაცემების სერვისის ტიპი - Spatial Data Service Type.....	19
4. სივრცითი მონაცემების სერვისების კლასიფიკაცია - Classification of Spatial Data Services	20
5. შესაბამისობის ხარისხი - Degree of Conformity	28
6. პასუხისმგებელი მხარის როლი - Responsible Party Role	28

მიმოხილვა

"საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ოქტომბრის №262 დადგენილებით;

"ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის;

"ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით,

ვინაიდან:

- 1) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ოქტომბრის №262 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოში სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ზოგადი წესები. ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობისთვის აუცილებელია, მომხმარებელმა შეძლოს სივრცითი მონაცემების ნაკრების მოძიება და ელექტრონული სერვისებით სარგებლობა. შესაძლებელი უნდა იყოს მოხმარების პირობების დადგენა, რისთვისაც სივრცითი მონაცემებისა და ელექტრონული სერვისებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური აღწერები მეტამონაცემების სახით. მეტამონაცემების თავსებადობის, ჰარმონიზებულიობის და ვალიდურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების და ელ. სერვისების აღწერისთვის გამოყენებული მეტამონაცემების ნაკრების წარმოების წესების ფორმულირება.
- 2) მეტამონაცემების ნაკრების ელემენტების განმარტება საჭიროა იმ საინფორმაციო რესურსების საიდენტიფიკაციოდ, რისთვისაც შექმნილია მეტამონაცემები. აღიწერება კლასიფიკაცია და იდენტიფიკაცია, გეოგრაფიული მდებარეობა და **დროითი სისტემა**¹, ხარისხი და ვალიდურობა, შესაბამისობა მარეგულირებელ წესებთან² სივრცითი მონაცემების და ელექტრონული სერვისების ფუნქციური თავსებადობის³ კუთხით, წვდომასა და გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რესურსზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ინსტიტუტი. მეტამონაცემების ჩაწერასთან დაკავშირებული ელემენტები **აუცილებელია** მეტამონაცემების განახლების მონიტორინგზე, შექმნაზე და შენახვაზე **აუცილებელია** პასუხისმგებელი ორგანიზაციის იდენტიფიკაციისთვის. აღნიშნული მეტამონაცემები გახლავთ ელემენტების მინიმალური ნაკრები, რომელიც განსაზღვრულია მიმდინარე რეგულაციით, რაც რასაკვირველია არ გამორიცხავს, ორგანიზაციების მიერ საინფორმაციო რესურსის უფრო ვრცელი და დეტალური დოკუმენტირების შესაძლებლობას დამატებითი ელემენტების გამოყენებით - ინტერესის სფეროების, საერთაშორისო სტანდარტების და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტამონაცემების ~~ახალი~~ დამატებითი ელემენტების გამოყენება **რომლებიც უზრუნველყოფს** ფუნქციურ თავსებადობას **უზრუნველსაყოფად**.

Commented [g2]: არ ვეთანხმები

Commented [g3]: არ ვეთანხმები

¹ Temporal Reference

² Implementing Rules

³ Interoperability

- 3) იმ პირობების გათვალისწინებით, რომ მეტამონაცემების თითოეულ ელემენტს შესაძლებელია ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ჩანაწერი, მისი ვალიდურობის შესამოწმებლად აუცილებელია ინსტრუქციების არსებობა.
- 4) მეტამონაცემების თითოეული ელემენტის დომენის¹ მნიშვნელობები ურთიერთთავსებადი უნდა იყოს. მეტამონაცემების დომენის მნიშვნელობა უნდა იყოს: თავისუფალი ტექსტი, თარიღი, საერთაშორისო სტანდარტებიდან მიღებული კოდები (მაგ. ენების კოდები), რეგულირებადი ჩამონათვლებიდან² ან კატალოგებიდან³ მიღებული საკვანძო (სადიებო) სიტყვები⁴ ან ტექსტური ჩანაწერი⁵.

Commented [g4]: ასეთი ფორმულირებით ხომ არ არის უმჯობესი: მეტამონაცემების ვალიდურობის შესამოწმებლად აუცილებელია ინსტრუქციების არსებობა, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მეტამონაცემების თითოეულ ელემენტს შესაძლებელია ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ჩანაწერი.

Commented [g5]: 1

საგანი

საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებებისა და სივრცითი მონაცემების სერვისების დოკუმენტაციისათვის აუცილებელი მეტამონაცემების შექმნის, შენახვის⁶ და განახლების წესის ფორმულირება.

ზოგადი განსაზღვრებები

- სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა** - მეტამონაცემები, სივრცითი მონაცემების ნაკრებები და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული სერვისები; ქსელური მომსახურება და ტექნოლოგიები; ხელშეკრულებები სივრცითი მონაცემების გაზიარების, წვდომისა და გამოყენების თაობაზე; კოორდინირებისა და მონიტორინგის მექანიზმები, პროცესები და პროცედურები, რომელთა შექმნა, ამოქმედება და გამოყენება ხდება წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად;
- სივრცითი მონაცემები** - ნებისმიერი მონაცემი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება კონკრეტულ ადგილმდებარეობას ან გეოგრაფიულ არეალს;
- სივრცითი მონაცემების ნაკრები** - სივრცეში იდენტიფიცირებადი მონაცემთა ერთობლიობა;
- სივრცითი მონაცემების ელექტრონული სერვისი** - ციფრული სახით ინფორმაციის მიმოცვლა სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე ან მათთან დაკავშირებულ მეტამონაცემებზე;
- სივრცითი ობიექტი** - რეალური ობიექტის/მოვლენის ელექტრონული ასახვა კონკრეტული ადგილმდებარეობით ან გეოგრაფიული არეალით;
- მეტამონაცემები** - ინფორმაცია, რომელიც აღწერს სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებულ სერვისებს. იძლევა ინფორმაციას მონაცემების მოძიების, ინვენტარიზაციის და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;
- ფუნქციური თავსებადობა** - სივრცითი მონაცემების ნაკრებების კომბინირების შესაძლებლობა, ასევე, ოპერატორის მხრიდან განმეორებითი ჩარევების გარეშე სივრცითი მონაცემებთან დაკავშირებული სერვისების ურთიერთქმედების შესაძლებლობა;
- გეოპორტალი** - ინტერნეტ რესურსი ან მისი ექვივალენტი, რომელიც უზრუნველყოფს სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებულ

Commented [g6]: 'metadata' means information describing spatial data sets and spatial data services and making it possible to discover, inventory and use them.

მგონი ასეთი ფორმულირება უფრო სწორია

¹ Domain

² Controlled Lists

³ Thesauri

⁴ Keywords

⁵ Character Strings

⁶ Creation and Maintenance

ელექტრონულ სერვისებზე წვდომას;

9. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო: **(განსახილველია იურისტებთან ერთად)**

(ა) მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული, მათ შორის სახელმწიფო სათათბირო ორგანოები სახელმწიფო, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე;

(ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გეოგრაფიულ ინფორმაციასთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების, მომსახურების და ქმედებების ჩათვლით;

(გ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს ან ფუნქციებს, ეწევა საზოგადოებრივ მომსახურებას გეოგრაფიულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

10. მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გარდა. **(განსახილველია იურისტებთან ერთად)**

რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილ განსაზღვრებებთან ერთად დამატებით, გამოიყენება მიმდინარე რეგულაციის პირველ თავში მოცემული განმარტებები.

მეტამონაცემების შექმნა და შენახვა

მეტამონაცემები, რომლებშიც აღწერილია სივრცითი მონაცემები, სივრცითი მონაცემების ნაკრებების სერიები და სივრცითი მონაცემების სერვისები, უნდა შეიცავდეს მეტამონაცემების ელემენტებს ან მეტამონაცემების ელემენტების ჯგუფებს, რომლებიც რეგულაციის მე-2-ე თავში არის მოცემული. მათი შექმნა და შენახვა უნდა მოხდეს მე-3-ე და მე-4-ე თავებში მითითებული წესების შესაბამისად.

ამოქმედება

რეგულაცია სავალდებულოა მთლიანად და პირდაპირ.

მეტამონაცემების სტრუქტურა

თავი 1 - განმარტებები

1. ტერმინთა განმარტება

რეგულაციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ტექსტური ჩანაწერი¹ - მეტამონაცემების ელემენტების დომენის მნიშვნელობა, გამოხატული სიმბოლოების ერთობლიობით, რომელიც აღწერს ერთეულს.

თავისუფალი ტექსტი² - მეტამონაცემების ელემენტების **დომენის—მნიშვნელობა**, რომელიც წარმოდგენილია ერთ ან მეტ ენაზე.

წარმოშობა³ - მონაცემების ნაკრების ქრონოლოგიური ისტორია, მისი არსებობის ციკლი დაწყებული მონაცემების მოძიებიდან და შეგროვებიდან მის კომპილაციამდე და არსებული ფორმით ჩამოყალიბებამდე EN ISO 19101 სტანდარტის შესაბამისად.

Commented [g7]: 1

¹ Character String
² Free Text
³ Lineage

მეტამონაცემის ელემენტი¹ - მეტამონაცემების „დისკრეტული ერთეული“ EN ISO 19115 სტანდარტის შესაბამისად.

სახელწოდებების საცავი² - სახელწოდებების ნაკრები, რომელიც იდენტიფიცირებულია რესურსის **უნივერსალური იდენტიფიკატორით³**, გამოიყენება დოკუმენტებში მარკირების გაფართოების პროგრამულ ენაზე⁴ ელემენტების და ატრიბუტების სახელების სახით.

Commented [g8]: უნიფიცირებული

ხარისხი⁵ - პროდუქტის მახასიათებლების ერთობლიობა, დაკავშირებული მის შესაძლებლობასთან დაკმაყოფილოს მოთხოვნილი და ნაგულისხმევი საჭიროებები EN ISO 19101 სტანდარტის შესაბამისად.

???? რესურსი⁶ - ინფორმაციული რესურსი, რომელშიც პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით არის მითითებული სარეფერენციო მდებარეობა ან გეოგრაფიული არეალი.

სივრცითი მონაცემების ნაკრებების სერიები⁷ - სივრცითი მონაცემების ნაკრებების კოლექციები, რომლებსაც გააჩნიათ პროდუქტის ერთი და იგივე სპეციფიკაციები (მაგალითად ერთი და იგივე მასშტაბის რასტრული გამოსახულებების ნაკრები).

2. სივრცითი მონაცემების ნაკრებების ვალიდურობა⁸

ვალიდურობა დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

მონაცემებთან დაკავშირებული სივრცის და დროის დიაპაზონი,

მონაცემების ანალიზი/შემოწმება გაზომვის და შესრულების სტანდარტებთან მიმართებაში

მონაცემების ხარისხის შესაბამისობა გამოყენების მიზნებთან თანაფარდობით

საჭიროების შემთხვევაში სივრცითი მონაცემების ნაკრების ვალიდურობა (საიმედოობა) იურიდიული თვალსაზრისით.

თავი 2 - მეტამონაცემების ელემენტები

1. იდენტიფიკაცია⁹

წარმოდგენილი უნდა იყოს მეტამონაცემების შემდეგი ელემენტები:

1.1. რესურსის სახელწოდება¹⁰

მახასიათებელი¹¹ და ხშირად უნიკალური სახელწოდება, რომლითაც ცნობილია რესურსი.

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტის **დომენის მნიშვნელობა** - თავისუფალი ტექსტი.

Commented [g9]: 1

¹ Metadata Element

² Namespace

³ URI - Uniform Resource Identifier

⁴ XML - Extensible Markup Language

⁵ Quality

⁶ Resource

⁷ Spatial Data Set Series

⁸ References to the Validity

⁹ Identification

¹⁰ Resource Title

¹¹ Characteristic

1.2. რესურსის მოკლე მიმოხილვა¹

რესურსის არსის მოკლე აღწერა, რეზიუმე.

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტის დომენის მნიშვნელობა - თავისუფალი ტექსტი (free text).

1.3. რესურსის ტიპი²

რესურსის ტიპი, რომელიც აღწერილია მეტამონაცემების საშუალებით.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა განმარტებულია თავი 4-ის პუნქტ 1-ში.

Commented [g10]: 1

Formatted: Font: Underline

Formatted: Font: Underline

1.4. რესურსის ლოკატორი (ბმული)³

ბმული რესურსთან ან/და რესურსის შესახებ დამატებით ინფორმაციასთან.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - ტექსტური ჩანაწერი, რომელიც ცნობილია როგორც რესურსების უნიფიცირებული მაჩვენებელი⁴.

1.5. რესურსის უნიკალური იდენტიფიკატორი⁵

მნიშვნელობა, რომელიც ახდენს რესურსის იდენტიფიცირებას.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - სავალდებულო ველი⁶ - ტექსტური ჩანაწერი წარმოადგენს კოდს, რომელიც მინიჭებულია მონაცემების მფლობელის მიერ. სახელწოდებების საცავის საშუალებით შესაძლებელია საიდენტიფიკაციო კოდის კონტექსტის იდენტიფიცირება (მაგალითად, მონაცემების მფლობელი).

Commented [g11]: არ ვეთანხმები

1.6. წყვილი რესურსი⁷

თუ რესურსს გააჩნია სივრცითი მონაცემების სერვისი, მაშინ სერვისის მიზნობრიობას და შესაძლებლობას განსაზღვრავს სივრცითი მონაცემების ნაკრების რესურსების უნიფიცირებული იდენტიფიკატორები.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - სავალდებულო ველი - ტექსტური ჩანაწერი წარმოადგენს კოდს, რომელიც მინიჭებულია მონაცემების მფლობელის მიერ და სახელწოდებების საცავის საშუალებით შესაძლებელია საიდენტიფიკაციო კოდის კონტექსტის იდენტიფიცირება (მაგალითად, მონაცემების მფლობელი).

Commented [g12]: 1

Commented [g13]: არ ვეთანხმები

1.7. რესურსის ენა⁸

რესურსში გამოყენებული ენა (ენები)

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - შეზღუდულია ISO 639-2

Commented [g14]: 1

¹ Resource Abstract

² Resource Type

³ Resource Locator

⁴ URL - Uniform Resource Locator

⁵ Unique Resource Identifier

⁶ Mandatory

⁷ Coupled resource

⁸ Resource language

([დასაზუსტებელია??](#)) სტანდარტით განსაზღვრული ენებით.

2. სივრცითი მონაცემების და სერვისების კლასიფიკაცია¹

2.1. ძირითადი კატეგორია²

ძირითადი კატეგორია წარმოადგენს მონაცემების კლასიფიკაციის მთავარ დონეს, რომელიც განაპირობებს სივრცითი მონაცემების რესურსების დაჯგუფებას და უზრუნველყოფს თემატიკაზე დაფუძნებული ძიების ფუნქციის განხორციელებას.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა განმარტებულია თავი 4-ის პუნქტ 2-ში.

2.2. სივრცითი მონაცემების სერვისის ტიპი³

კლასიფიკაცია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სივრცითი მონაცემების ძიება. კონკრეტული სერვისის კატეგორიზაცია (კლასიფიკაცია) უნდა მოხდეს მხოლოდ ერთ კატეგორიაში.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა თავი 4-ის პუნქტი 3-ში.

3. საკვანძო (სამიეზო) სიტყვა⁴

თუ რესურსი წარმოადგენს სივრცითი მონაცემების სერვისს, აუცილებელია მინიმუმ ერთი საკვანძო (სამიეზო) სიტყვა თავი 4-ის პუნქტი 4-დან.

თუ რესურსი წარმოადგენს სივრცითი მონაცემების ნაკრებს ან სივრცითი მონაცემების ნაკრების სერიას, აუცილებელია მინიმუმ ერთი საკვანძო სიტყვა გარემოს მრავალენოვანი სპეციალიზებული ლექსიკონიდან⁵, რომელიც აღწერს შესაბამის სივრცით მონაცემებს.

თითოეული საკვანძო სიტყვისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს მეტამონაცემების შემდეგი ელემენტები:

3.1. საკვანძო (სამიეზო) სიტყვის მნიშვნელობა⁶

საკვანძო (სამიეზო) სიტყვის მნიშვნელობა არის საზოგადოდ, ფართოდ გავრცელებული სიტყვა ან ფრაზა, რომელიც გამოყენებულია ობიექტის, საგნის აღსაწერად, რადგან ძირითადი კატეგორია არ არის საკმარისი დეტალური ძიებისთვის, საკვანძო (სამიეზო) სიტყვა გვეხმარება მთლიანი ტექსტის ფარგლებში ძიების გამარტივებაში და გვამღებს სტრუქტურირებული საკვანძო (სამიეზო) სიტყვებით ძიების შესაძლებლობას.

მეტამონაცემების ელემენტის **დომენის მნიშვნელობა** - თავისუფალი ტექსტი.

Commented [g15]: 1

3.2. მართვადი ლექსიკონის შექმნა⁷

თუ საკვანძო (სამიეზო) სიტყვის მნიშვნელობა წარმოშობილია მართვადი ლექსიკონიდან (სპეციალიზებული ლექსიკონი, ონტოლოგია)⁸, საჭიროა მართვადი ლექსიკონის ციტირება.

ციტატაში მითითებული უნდა იქნეს მინიმუმ: მართვადი ლექსიკონის სახელწოდება და

¹ Classification of Spatial Data and Services

² Topic Category

³ Spatial Data Service Type

⁴ Keyword

⁵ Thesaurus GEMET

⁶ Keyword Value

⁷ Originating Vontrolled Vocabulary

⁸ GEMET

საცნობარო თარიღი (გამოქვეყნების თარიღი, შექმნის ან ბოლო განახლების თარიღი)

4. გეოგრაფიული მდებარეობა¹

მეტამონაცემებში უნდა იყოს ინფორმაცია გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იქნება გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩოს სახით.

4.1. გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩო²

რესურსის გეოგრაფიულ სივრცეში მდებარეობის აღწერა, რომელიც მოცემულია გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩოს სახით.

გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩო გამოსახული უნდა იყოს დასავლეთ და აღმოსავლეთ გრძედით და სამხრეთ და ჩრდილოეთ განედით ათწილად გრადუსებში, მინიმუმ მეასედის (მძიმის შემდეგ ორი ციფრი) სიზუსტით.

5. თარიღის აღმნიშვნელი³

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტი იძლევა ინფორმაციას მონაცემების თარიღის შესახებ. 5.1 და 5.4 პუნქტებიდან, შევსებული უნდა იყოს მეტამონაცემების მინიმუმ ერთი ელემენტი.

5.1 და 5.4 პუნქტებში მოცემული მეტამონაცემების ელემენტების დომენის მნიშვნელობაა თარიღების კრებული. თითოეული თარიღი უნდა იყოს თავსებადი დროით სისტემასთან. დროითი სისტემა ავტომატურ რეჟიმში არის გრიგორიანული კალენდარი, სადაც თარიღები მოცემულია ISO 8601-ის შესაბამისად.

Commented [g16]: 1

Commented [g17]: სარეფერენციო ხომ არ არის უმჯობესი

Commented [g18]: სარეფერენციო

5.1. დროითი პერიოდი (საზღვრები)⁴

დროითი პერიოდი განსაზღვრავს რესურსის შინაარსის მიერ მოცულ დროის მონაკვეთს. დროის ეს მონაკვეთი შეიძლება გამოსახოს ქვემოთ მითითებულთაგან ნებისმიერი გზით:

- ერთი თარიღი (ინდივიდუალური თარიღი)
- თარიღების ინტერვალი, გამოხატული დაწყების თარიღით და დამთავრების თარიღით
- ინდივიდუალური თარიღებისა და თარიღების ინტერვალის ნაკრები

Commented [g19]: მგონი, სიტყვა ზედმეტია

5.2. გამოქვეყნების თარიღი⁵

რესურსის გამოქვეყნების ან მისი ამოქმედების თარიღი. შესაძლებელია არსებობდეს გამოქვეყნების ერთზე მეტი თარიღი.

5.3. ბოლო ვერსიის თარიღი⁶

რესურსის ბოლო განახლების თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულია რესურსის გადასინჯვა, მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი, ბოლო განახლების თარიღი.

5.4. შექმნის თარიღი⁷

¹ Geographic Location
² Geographic Bounding Box
³ Temporal Reference
⁴ Temporal Extent
⁵ Date of Publication
⁶ Date of Last Revision
⁷ Date of Creation

რესურსის შექმნის თარიღი. უნდა იყოს ერთი თარიღი.

6. ხარისხი და ვალიდურობა¹

სივრცითი მონაცემების ხარისხი და ვალიდურობა (უტყუარობა, სანდოობა), უნდა აღიწეროს მეტამონაცემების შემდეგი ელემენტების საშუალებით:

6.1. წარმოშობა

ჩანაწერები (ინფორმაცია) სივრცითი მონაცემების ნაკრებთან დაკავშირებული პროცესების ხარისხის ისტორიის ან—მოლოანი—ხარისხის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მასში შესაძლებელია მითითებული იყოს ინფორმაცია, მონაცემების ნაკრების დამტკიცების, მისი ხარისხის, ოფიციალური ვერსიის არსებობის შესახებ (რამდენიმე ვერსიის არსებობის შემთხვევაში) და მონაცემების იურიდიული ძალის შესახებ.

Commented [g20]: ისტორიის ან/და მოლოანიში მონაცემთა ნაკრების ხარისხის

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - თავისუფალი ტექსტი.

Commented [g21]: 1

6.2. სივრცითი რეზოლუცია²

სივრცითი რეზოლუცია ასახავს მონაცემების ნაკრების დეტალიზაციის დონეს, რომელიც გამოსახულია რიცხვითი მნიშვნელობებით (იწყება ნულიდან და მნიშვნელობა იცვლება საკოორდინატო ბადისა და გამოსახულებიდან მიღებული პროდუქტებისთვის) ან შესაბამისი მასშტაბით (ჩვეულებრივ რუკებისთვის ან რუკებისგან მიღებული პროდუქტებისთვის).

მასშტაბი ჩვეულებრივ გამოისახება მთელი რიცხვის სახით, რომელიც ასახავს მასშტაბის მაჩვენებელს.

რეზოლუცია გამოსახული უნდა იყოს მანძილის ერთეულოვანი რიცხვითი მნიშვნელობით.

7. შესაბამისობა³

მომდინარე რეგულაციის თანახმად შესაბამისობის ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეტამონაცემების შემდეგი ელემენტების მეშვეობით:

7.1. სპეციფიკაცია⁴

შესაბამისობა იმ სპეციფიკაციასთან, რომელსაც კონკრეტული რესურსი შეესაბამება.

შესაძლებელია რესურსი ექვემდებარებოდეს იმპლემენტაციის ერთზე მეტ წესს, რომელიც განსაზღვრულია სხვადასხვა სპეციფიკაციით. საჭიროა შესაბამისი დოკუმენტის ციტირება..

ციტატა სპეციფიკაციებიდან მინიმუმ უნდა შეიცავდეს დოკუმენტის სახელწოდებას და თარიღს.

7.2. ხარისხის შესაბამისობა ხარისხი/დონე⁵

სპეციფიკაციების წესებთან შესრულების ხარისხის შესაბამისობა. სპეციფიკაციებზე, დაწინაურებული იმპლემენტაციის წესებთან შესაბამისობის ხარისხი/დონე.

Commented [g22]: არ ვეთანხმები შესაბამისობის ხარისხი

Commented [g23]: არ ვეთანხმები რესურსის შესაბამისობის ხარისხი მარეგულირებელ წესებთან მიმართებით.

მეტამონაცემების დომენის ამ ელემენტის მნიშვნელობა განსაზღვრულია მე-4-ე თავში.

¹ Quality and Validity

² Spatial Resolution

³ Conformity

⁴ Specification

⁵ Degree

8. წვდომისა და გამოყენების პირობები და შეზღუდვები¹

წვდომისა და გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები და შეზღუდვები. უნდა იყოს მოცემული ერთ-ერთი ან ორივე ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- წვდომისა და გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები² (8.1),
- საჯარო წვდომის შეზღუდვები³ (8.2).

8.1. წვდომისა და გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტი განსაზღვრავს: სივრცითი მონაცემების ნაკრებების და ელექტრონული სერვისების წვდომისა და გამოყენების პირობებს, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაბამის საფასურს.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - თავისუფალი ტექსტი.

ელემენტს უნდა გააჩნდეს მნიშვნელობა. თუ რესურსის წვდომისა და გამოყენების მიმართ არ მოქმედებს არავითარი პირობა, საჭიროა „პირობები არ ვრცელდება“-ს⁴ გამოყენება. თუ პირობები უცნობია, საჭიროა „პირობები უცნობია“-ს გამოყენება.

ელემენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რესურსზე წვდომისა და საფასურის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან მოხდეს გადამისამართება რესურსის უნიფიცირებულ მაჩვენებელზე⁵, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია საფასურის შესახებ.

8.2. საჯარო წვდომის შეზღუდვები

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შეზღუდვებისა და მათი მიზეზების შესახებ.

საჯარო წვდომის შეზღუდვის არ არსებობის შემთხვევაში, მეტამონაცემების აღნიშნულმა ელემენტმა უნდა მიუთითოს ამ ფაქტის შესახებ.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა - თავისუფალი ტექსტი.

9. რესურსის (სივრცითი მონაცემებისა და სერვისების) შექმნაზე, მართვაზე, მოვლა-შენახვასა და დისტრიბუციის პასუხისმგებელი ორგანიზაცია.⁷

მიმდინარე რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა მეტამონაცემების შემდეგი ორი ელემენტის გათვალისწინება:

9.1. პასუხისმგებელი მხარე⁸

რესურსის შექმნაზე, მართვაზე, მოვლა-შენახვასა და დისტრიბუციის პასუხისმგებელი სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანიზაციის აღწერა/დახასიათება, რომლებიც არეგულირებენ სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების შექმნას, მართვას, მხარდაჭერასა და

¹ Constraint Related to Access and Use

² Conditions Applying to Access

³ Limitations on Public Access

⁴ No Conditions Apply

⁵ Conditions Unknown

⁶ URL

⁷ ORGANISATIONS RESPONSIBLE FOR THE ESTABLISHMENT, MANAGEMENT, MAINTENANCE AND DISTRIBUTION OF SPATIAL DATA SETS AND SERVICES

⁸ Responsible party

გავრცელებას.

აღწერა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- ორგანიზაციის სახელწოდება თავისუფალი ტექსტის სახით
- საკონტაქტო ელ-ფოსტის მისამართი.

9.2. პასუხისმგებელი მხარის როლი¹

პასუხისმგებელი ორგანიზაციის როლი.

მეტამონაცემების ელემენტის დომენის მნიშვნელობა განმარტებულია მე-4-ე თავში.

10. მეტამონაცემები მეტამონაცემების შესახებ²

სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისებისათვის მეტამონაცემების შექმნის, ასევე, მეტამონაცემების რეგულარული განახლების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა მეტამონაცემების შემდეგი ელემენტების გათვალისწინება:

10.1. საკონტაქტო სუბიექტი მეტამონაცემების ნაწილში³

მეტამონაცემების შექმნასა და შენახვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის დახასიათება.

აღწერა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- ორგანიზაციის სახელწოდება თავისუფალი ტექსტის სახით
- საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი.

10.2. მეტამონაცემების თარიღი⁴

მეტამონაცემების ჩანაწერის შექმნის ან განახლების თარიღი.

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტის ჩანაწერი უნდა იყოს ISO 8601-ის შესაბამისი.

10.3. მეტამონაცემების ენა⁵

მეტამონაცემების ელემენტების ჩაწერის ენა.

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტის დომენის მნიშვნელობა - ევროპული თანამეგობრობის ოფიციალურ ენებიდან ერთ-ერთი ISO 639-2-ის შესაბამისად.

თავი 3 - მეტამონაცემების თითოეული ელემენტის რაოდენობასთან და პირობებთან დაკავშირებული ინსტრუქციები

მეტამონაცემები, რომლებიც აღწერენ რესურსს უნდა შეიცავდეს სივრცითი მონაცემების ნაკრების

¹ Responsible Party Role

² Metadata on Metadata

³ Metadata Point of Contact

⁴ Metadata Date

⁵ Metadata Language

ან სივრცითი მონაცემების ნაკრების სერიების შესახებ მეტამონაცემების იმ ელემენტებს ან მეტამონაცემების ელემენტების ჯგუფებს, რომლებიც მოცემულია პირველ ცხრილში (ცხრილი 1).

სივრცითი მონაცემების ელექტრონული სერვისების აღწერის შემთხვევაში, მეტამონაცემები უნდა შეიცავდეს მეტამონაცემების იმ ელემენტებს ან მეტამონაცემების ელემენტების ჯგუფებს, რომლებიც მოცემულია მეორე ცხრილში (ცხრილი 2).

მეტამონაცემების აღნიშნული ელემენტების და მათი ჯგუფების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პირველ და მეორე ცხრილებში წარმოდგენილ რაოდენობებსა და პირობებს.

როცა მეტამონაცემების კონკრეტულ ელემენტთან დაკავშირებით მოცემულია: არ არის პირობა¹, ელემენტი სავალდებულო უნდა იყოს².

ცხრილები შეიცავენ შემდეგ ინფორმაციას:

- I სვეტი შეიცავს მიმდინარე რეგულაციის 2-ე თავის პარაგრაფის ნომერს, რომელიც განსაზღვრავს მეტამონაცემების ელემენტს ან მეტამონაცემების ელემენტების ჯგუფს;
- II სვეტი შეიცავს მეტამონაცემების ელემენტის ან მეტამონაცემების ელემენტების ჯგუფის სახელწოდებას;
- III სვეტი განსაზღვრავს მეტამონაცემის ელემენტის რაოდენობას. ამ შემთხვევაში რაოდენობაში იგულისხმება მოდელირების უნიფიცირებულ პროგრამულ ენაში³ არსებული განმარტება, სადაც:
 - 1 ნიშნავს, რომ შედეგებში იქნება მეტამონაცემების ამ ელემენტის მხოლოდ ერთი ჩანაწერი;
 - 1..* ნიშნავს, რომ შედეგებში იქნება ამ ელემენტის მინიმუმ ერთი ჩანაწერი;
 - 0..1 ნიშნავს, რომ შედეგებში მეტამონაცემების ელემენტის არსებობა პირობითია⁴, მაგრამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთჯერ;
 - 0.* ნიშნავს, რომ შედეგებში მეტამონაცემების ელემენტი პირობითად შეიძლება არსებობდეს ერთჯერ ან მეტჯერ;
 - როცა რაოდენობა 0..1 or 0.* სახისაა, პირობა განსაზღვრავს თუ როდის არის მეტამონაცემების ელემენტი სავალდებულო.

იმ შემთხვევაში, როდესაც ელემენტების რაოდენობა არ ვრცელდება ყველა სახის რესურსზე, მეოთხე სვეტი შეიცავს პირობის ოპერატორს (ჩანაწერს). სხვა შემთხვევაში ყველა ელემენტი სავალდებულოა.

¹ No Condition

² (M) - Mandatory

³ UML

⁴ Conditional

ცხრილი 1 მეტამონაცემები სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სივრცითი მონაცემების ნაკრებების სერიებისათვის

#	მეტამონაცემების ელემენტი	მეტამონაცემების ელემენტი (ინგლ.)	რაოდენობა	პირობა
1.1	რესურსის სახელწოდება	Resource Title	1	
1.2	რესურსის მოკლე მიმოხილვა	Resource Abstract	1	
1.3	რესურსის ტიპი	Resource Type	1	
1.4	რესურსის მარკერები	Resource Locator (URL)	0..*	სავალდებულოა, თუ ხელმისაწვდომია ბმული რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან/და ელექტრონულ სერვისებზე წვდომისათვის.
1.5	რესურსის უნიკალური იდენტიფიკატორი	Unique Resource Identifier (URI)	1..*	
1.7	რესურსის ენა	Resource Language	0..*	სავალდებულოა, თუ რესურსი შეიცავს ტექსტურ ინფორმაციას.
2.1	ძირითადი კატეგორია	Topic Category	1..*	
3	საკვანძო (სამიზნო) სიტყვა	Keyword	1..*	
4.1	გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩო	Geographic Bounding Box	1..*	
5	დროითი განზომილება (სისტემა)	Temporal Reference	1..*	
6.1	წარმოშობა	Lineage	1	
6.2	სივრცითი რეზოლუცია	Spatial Resolution	0..*	სავალდებულოა მონაცემთა ნაკრებებისა და მონაცემთა ნაკრებების სერიებისთვის, თუ შესაძლებელია შესაბამისი მასშტაბის ან რეზოლუციის მანძილის განსაზღვრა.
7	შესაბამისობა	Conformity	1..*	
8.1	წვდომისა და გამოყენების პირობები	Conditions for Access and Use	1..*	
8.2	საჯარო წვდომის შეზღუდვები	Limitations on Public Access	1..*	
9	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	Responsible Organization	1..*	
10.1	საკონტაქტო სუბიექტი მეტამონაცემების ნაწილში	Metadata Point of Contact	1..*	
10.2	მეტამონაცემების თარიღი	Metadata Date	1	
10.3	მეტამონაცემების ენა	Metadata Language	1	

Commented [g24]: სივრცე ხომ არ გამოვიყენოთ?!

ცხრილი 2 მეტამონაცემები სივრცითი მონაცემების სერვისებისათვის

#	მეტამონაცემების ელემენტი	მეტამონაცემების ელემენტი (ინგლ.)	რაოდენობა	პირობა
1.1	რესურსის სახელწოდება	Resource Title	1	
1.2	რესურსის მოკლე მიმოხილვა	Resource Abstract	1	
1.3	რესურსის ტიპი	Resource Type	1	
1.4	რესურსის მაჩვენებელი	Resource Locator (URL)	0..*	სავალდებულოა, თუ ელექტრონული სერვისი ხელმისაწვდომია.
1.6	წყვილი რესურსი	Coupled Resource	0..*	სავალდებულოა, თუ ხელმისაწვდომია კავშირი მონაცემების ნაკრებთან, რომელზეც სერვისი მუშაობს.
2.2	სივრცითი მონაცემის სერვისის ტიპი	Spatial Data Service Type	1	
3	საკვანძო (სამიზნო) სიტყვა	Keyword	1..*	
4.1	გეოგრაფიული საზღვრების ჩარჩო	Geographic Bounding Box	1..*	სავალდებულოა გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე სერვისებისთვის.
5	დროითი განზომილება (სისტემა)	Temporal Reference	1..*	
6.2	სივრცითი რეზოლუცია	Spatial Resolution	0..*	სავალდებულოა, როცა ელექტრონული სერვისისთვის არსებობს მასშტაბთან დაკავშირებული შეზღუდვა.
7	შესაბამისობა	Conformity	1..*	
8.1	წდომისა და გამოყენების პირობები	Conditions for Access and Use	1..*	
8.2	საჯარო წდომის შეზღუდვები	Limitations on Public Access	1..*	
9	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	Responsible Organization	1..*	
10.1	საკონტაქტო სუბიექტი მეტამონაცემების ნაწილში	Metadata Point of Contact	1..*	
10.2	მეტამონაცემების თარიღი	Metadata Date	1	
10.3	მეტამონაცემების ენა	Metadata Language	1	

თავი 4 - დომენის ტიპები და მნიშვნელობები¹

მიმდინარე რეგულაციის მე-2 თავში (მეტამონაცემების ელემენტები), მითითებულია, რომ დომენის მნიშვნელობები აღწერილია 4-ე თავის პუნქტი 1-დან, პუნქტ 6-მდე. თითოეული ელემენტის რაოდენობა მოცემული უნდა იყოს 3-ე თავის 1-ლი და მე-2 ცხრილების შესაბამისად:

Commented [g25]: 1

თითოეული დომენის მნიშვნელობა განისაზღვრება კონკრეტულად შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით:

Commented [g26]: 1

- რიცხვითი მნიშვნელობა ოდენობითი, რიცხვითი, მნიშვნელობა ოდენობითი, რიცხვითი, მნიშვნელობა ოდენობითი,
- ტექსტური სახელწოდებები, რომელთა თარგმანა შესაძლებელია სხვადასხვა ენაზე
- ენისგან დამოუკიდებელი დასახელება პროგრამული უზრუნველყოფისათვის (მნიშვნელობა, რომელიც გამოსახულია ფრჩხილებში),
- არასავალდებულო² აღწერილობა ან განმარტება

1. რესურსის ტიპი³

- 1.1. სივრცითი მონაცემების ნაკრების სერიები (სერიები)⁴
- 1.2. სივრცითი მონაცემების ნაკრები (მონაცემების ნაკრები)⁵
- 1.3. სივრცითი მონაცემების სერვისები (სერვისები)⁶

2. ძირითადი კატეგორიები⁷

2.1. ფერმერული საქმიანობა⁸

ცხოველების მოშენება ან/და მცენარეების კულტივაცია.

კატეგორია გამოიყენება საბაზისო სივრცითი მონაცემების თემისთვის რომელიც უნდა განისაზღვროს კონსულტაციების შედეგად

2.2. ბიოტი, ბიომატერია⁹

ფლორა ან/და ფაუნა ბუნებრივ გარემოში.

კატეგორია გამოიყენება საბაზისო სივრცითი მონაცემების თემებისათვის რომელიც უნდა განისაზღვროს კონსულტაციების შედეგად

2.3. საზღვრები¹⁰

მიწის იურიდიული აღწერა.

¹ Value Domains

² optional

³ Resource Type

⁴ Spatial Data Set Series (series)

⁵ Spatial Data Set (dataset)

⁶ Spatial Data Services (services)

⁷ Topic Categories in Accordance with EN ISO 19115

⁸ Farming (farming)

